წლიწადი მეთერთმეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო

ტელეფონები №№: რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, ხამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი 1931 წ. № 271 (3226)

# არც ერთი კილოგრამი ბამბა აუღებელი

ჩვენ შევედით ბამბის აკრეფა-დამზადების კამპანიის საპასუხისმგებლო პერიოდში. ბამბის აკრეფის ვადა მიიწურა. ამინდები უარესდება. ახლა საჭიროა მთელი ძალების მაქსიმალური მობილიზაცია იმისათვის, რათა ბამბის აკრეფა - დამზადების გეგმა უახლოეს დღეების განმავლობაში შესრულდეს. ბამბის აკრეფის ტემპების ოდნავი შენელება გამოიწვევს დანაკარგების ზრდას და ბამბის ხარისხის გაუარესებას.

ბამბის კამპანიის ეს საპასუხისმგებლო ამოცანები სათანადოთ შეგნებული არა აქვთ ბამბის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ...

... ცენტით მაშინ, როდესაც იმავე რაიონებში ბამბის აკრეფის გეგმა კოლმეურნეობებს შესრულებული აქვთ 54,8 პროც. და ღარიბ და საშუალო გლეხებს 55,7 პროცენტით.

ყველა ამ ნაკლოვანებათა დამკვრელი ტემპებით გამოსწორებასთან ერთად მიღებულ უნდა იქნას სასწრაფო და გადამწყვეტი ზომები ბამბის აკრეფის და მისი დანიშნულები სამბერ ჩაბარების დასაჩქარებლად. პირველ რიგში მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს სამარცხვინო ჩამორჩენის ლიკვიდაციას საბჭოთა მეურნეობების ხაზით. ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კოლმეურ...

... შრომით შრომას უნაზღაურებენ 50 პროცენტის დაკლებით).

არ არის აგრეთვე გადამწყვეტი ზომები მიღებული კულაკების წინააღმდეგ, რომელნიც ყოველმხრივ ხელს უშლიან ბამბის აკრეფა-დამზადების გეგმების შესრულებას და ამავე დროს აჭიანურებენ ბამბის აკრეფის მტკიცე დავალებათა განაღდებას. სიღნაღის რაიონში კულაკებს ბამბის აკრეფის მტკიცე დავალება შესრულებული აქვთ 47 პრო...

... ლეობის მუშაობაში ჩაბმის საფუძველზე უზრუნველვყოთ ბამბის აკრეფა - დამზადების გეგმის მთლიანად შესრულება.

— არც ერთი კილოგრამი ბამბა აუღებელი, ასეთია ამოცანა, რომელსაც პარტია და ხელისუფლება უყენებს მებამბეობის რაიონებს. — ეს დავალება მებამბეობის რაიონების პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა ბოლშევიკურად უნდა შეასრულონ.

# იმპერიალისტურ წინააღმდეგობათა ახალი გამწვავება

იმპერიალისტური წინააღმდეგობათა კვანძი უფრო და უფრო მაგრად იხსკვება. მსოფლიო ეკონომიური კრიზისი, რომელიც უკვე ორ წელზე მეტს გრძელდება, უფრო და უფრო მწვავდება და ღრმავდება. ბურ...

... ნებისადმი მისი მოკლევადიანი ვალების საკითხთან. საფრანგეთის მთავრობამ კი უკუაგდო ეს თვალსაზრისი და იგი მოითხოვს, რომ რეპარაციებისა და საერთაშორისო ვალების საკითხი დამოუკიდებლად გა...

... პერიალიზმს სურს საერეპარაციო საკითხი გამოიყენოს იმისათვის, რომ გერმანია დაიმორჩილოს, შეიყვანოს იგი თავის იმპერიალისტურ დაჯგუფებაში და ამით ანტი-საბჭოთა ბლოკში მოაქციოს.

ხმები იმის შესახებ, რომ გერმანიის უდიდეს მეტალურგიულ საწარმოთა აქციებს ფრანგ კაპიტალისტებს მიჰყიდიან, რომ საფრანგეთის ზოგიერთი წრეები ცდილობენ ნაციონალ - სოციალისტებთან დაახლოვებას და, ბოლოს, გერმანიის მთელი შინაური მდგომარეობა (განსაკუთრებით ახალი ლაშქრობა კომპარტიის წინააღმდეგ), —ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ მზადდება ნიადაგი საფრანგეთის და გერმანიის იმპერიალიზმის შეთანხმებისათვის. ძალთა ახლანდელი განწყობილების დროს ეს შეთანხმება იქნება გერმანიის ბურჟუაზიის კაპიტულიაცია საფრანგეთის ბურჟუაზიის წინაშე.

ამავე დროს საფრანგეთის იმპერიალიზმი ცდილობს ვალის მუხრუჭით საბოლოოდ დაახშოს ავსტრია და უნგრეთი და ეს ქვეყნები თავის იმპერიალისტურ სისტემაში მოაქციოს.

ბულგარეთი ხდება საფრანგეთის და იტალიის იმპერიალიზმს შორის ძალა...

... მოებს მტაცებლური იმპერიალისტური ომი ჩინეთის ხალხის წინააღმდეგ.

ერთა ლიგის წევრებს შორის უთანხმოებას ადგილი არა აქვს იმ საკითხში, რომ იაპონია აამხედრონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამ დანაშაულობრივ და პროვოკაციულ თამაშში ამერიკისა და საფრანგეთის ბურჟუაზია განსაკუთრებით საძაგელ როლს ასრულებს. ვაშინგტონი და პარიზი პროვოკაციული კამპანიის ცენტრებად გადაიქცენ.

საერთაშორისო ბირჟის სეისმოგრაფმა ამას წინად აღნიშნა მიწისძვრის—ომის მოახლოვება. ხორბლის, ბამბის და ფერადი ლითონების ფასი საგრძნობლად გადიდდა. ბირჟის ვეშაპებმა უკვე დაიწყეს ომის საფრთხის სპეკულიაცია. საფრანგეთში ეკონომიური კრიზისი უფრო და უფრო ღრმავდება, უდიდესი ბანკების და საწარმოების დივიდენდები მცირდება. ამავე დროს საფრანგეთის უდიდეს სამხედრო საწარმოს „შნეიდერ-კრეზო"-ს მიმდინარე წელს ისეთივე მოგება ჰქონდა, როგორც შარშან, და მან დივიდენდები გასცა სააქციო კაპიტალის 20 პროცენტის რაოდენობით, ეს მაგალითი ერთხელ კიდევ ადასტურებს ამხ. სტალინის სიტყვებს: ...

# მდგომარეობა მანჯურიაში მწვავდება

## იაპონელი ოკუპანტები ემზადებიან ხარბინის დასაპყრობად

### თეთრგვარდიელ ბანდიტების მიერ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის დაპყრობის გეგმა

ბეიპინი, 24 ნოემბერი. სარწმუნო ცნობების თანახმად იაპონიის სამხედრო მისიის თანამშრომელი ხარბინში ოსავა გაემგზავრა მუკდენში, სადაც იგი იაპონიის სარდლობა გაუკეთებს მოხსენებას იმის შესახებ, რომ თეთრგვარდიელები თანახმა არიან ხელთ იგდონ აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზა.

გზის ხელში ჩაგდების გეგმა, რომელიც შემუშავებულია თეთრგვარდიელების მიერ, მდგომარეობს შემდეგში:

თეთრგვარდიელების ერთი რაზმი დაიჭერს ხარბინის სადგურს და დეპოს და გან...

### ოკუპანტებს ხარბინისაკენ აქვთ აღებული გეზი

ბეიპინი, 24 ნოემბერი. ხარბინიდან მიღებული ცნობების თანახმად, იაპონიის წყაროები აღნიშნავენ მა-ს ახალ აქტივობას და იმას, რომ მა აწყობს ზაზას ხეილუნძა და ხუხაის რკინის გზის რაიონში. ამ წყაროებს შესაძლებლად მიაჩნიათ, რომ იაპონიის ჯარი დაედევნება მა-ს ჯარს იმ მიზნით, რომ ხელში ჩაიგდოს გზა სუნპუმდე, რომელიც საბოლოო პუნქტს წარმოადგენს. სუნპუს ხელში ჩაგდება საშუალებას მისცემს იაპონელებს ფაქტიურად დაეუფლონ ფუძიადს (ხარბინის მახლობლად) და ხარბინს ჯარის გადაუყვანლად აღმოსავლეთ-ჩინეთის რკი...

... წინადადება მისცა იაპონიის წარმომადგენელს ერთა ლიგის საბჭოში იოსიზავას უარყოს ასეთი მოთხოვნა და მიუთითოს, რომ იაპონია მხოლოდ იმ შემთხვევაში დათანხმდება სამხედრო მოქმედების შეწყვეტაზე, თუ ჩან სუე-ლიანის ჯარი გაყვანილი იქნება ძინჯოუდან და უკან დაიხევს მდინარე ლუანხოუსაკენ ხუბეის პროვინციის ჩრდილოეთით. წინააღმდეგ შემთხვევაში აუცილებელია შეტაკება იაპონიისა და ჩინეთის ჯარებს შორის ძინჯოუს რაიონში (ადს).

... გზიდან) და მოაწყო აქ რაღაც პროვინციალური მთავრობის მსგავსი. გენერალ მა-ს ჯარი დაბანაკებულია კეშანის (ციციკარ-კეშანის გზაზე) და ვანგუის (ხეილუნიდან სამხრეთით) რაიონებში. თითქოს ხელში ჩაუვარდათ დეპეშა, რომელშიაც ჩან სუე-ლიანი გენერალ მა-ს აძლევს ინსტრუქციებს განამტკიცოს ეხლანდელი თავისი პოზიციები, რათა დაიბრუნოს დაკარგული ტერიტორია, როცა იაპონელები დასცლიან ციციკარს (ადს).

# კომუნისტურ პრესას სდევნიან

## ორი წლის პატიმრობა ინგლისის მეზღვაურთა შესახებ წერილების მოთავსებისათვის

ლონდონი, 24 ნოემბერი. ლონდონის სასამართლომ იმ სტამბის დირექტორს, სადაც იბეჭდება კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერ"-ი, ფრანკ პეტერსონს ორი წლის პატიმრობა მიუსაჯა. ბრალდებული „წაქეზება აჯანყების გამოსაწვევად". საბაბად გამოიყენეს „დეილი უორკერ"-ში დაბეჭდილი წერილები, რომლებიც შეეხებოდენ მღელვარებას ფლოტში (ადს).

... დაინტერესებულია გერმანიის მოკლევადიანი კრედიტებით, და, რომ, ინგლისის მთავრობის აზრით, ...

... პასივობა. მაგრამ მსოფლიო ეკონომიურმა კრიზისმა გაამწვავა ბრძოლა ბაზრებისათვის ...

# საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების მტკიცედ გატარებით

## უზრუნველვყოთ საწფინგეგმების წარმატებით შესრულება

### ნოემბრის მეორე დეკადაში ტყიბულის მაღაროებმა გააცხოველეს ტემპები.— თვიური გეგმა შესრულდა 46,4 პროც.

## სტალინელებმა გააცხოველეს ტემპები

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანამ ნოემბერში გეგმით 1,2 და მე-3 კლასის შეკეთებებიდან უნდა გამოუშვას 7 ...

... ნი, მაგრამ ორ დეკადაში გამოუშვა მხოლოდ 4 ვაგონი. აღდგენითი შეკეთების 30 სხვადასხვა საბარგო ვაგონიდან (აღდგენითი შეკეთების ერ...

... ემბერში მოცემული გეგმით კონვენციური გასინჯვის შეკეთებიდან უნდა გამოუშვას 280 საბარგო ვაგონი, ორ დეკადაში გამოუშვა 212 ვაგონი. კონვენციური გასინჯვის 13 იზოტერმიული ვაგონიდან, ორ დეკადაში გამოუშვა მხოლოდ ერთი იზოტერმიული ვაგონი, წლიური გასინჯვის შეკეთებიდან ნოემბერში უნდა გამოუშვას 15 იზოტერმიული ვაგო-...

... უნდა აღინიშნოს, რომ საბარგო სავაგონო სამქროს მუშები ენერგიულად იბრძვიან, რათა შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვებისათვის სასწრაფოდ მიაწოდონ გზას ვაგონები, მაგრამ შესაკეთებელ ვაგონებს და ბორბლებს მათ თავის დროზე არ აწვდიან. ეს საკითხი სასწრაფოდ უნდა მოაგვაროს ქარხნის სამკუთხედმა.

**დ. ჯღარკავა.**

## მიეცით ქარხნებს ქვანახშირი

ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში წინა თვის ბოლშევიკური ტემპები ნოემბერში კიდევ უფრო გაძლიერდა. მეორე დეკადაში მაღაროებიდან გამოიღეს 5383 ტონა ნახშირი, რაც უდრის თვიური გეგმის 46,4 პროცენტს. მუშაობდა 1039 კაცი, გეგმით ...



... არ მომხდარა. ამჟამად მაღაროებში მუშაობს 1081 კაცი, გეგმით კი უნდა მუშაობდეს 2476 მუშა. აღსანიშნავია ტყიბულის, ჩხარის, ამბროლაურის და ცაგერის კოლმეურნეობების და სასოფლო ორგანიზაციების უყურადღებობა თავისუფალი მუშა-ხელის ტყიბულის მაღაროებისათვის მოწოდებისადმი. ამას ნათელყოფს შემდეგი ფაქტი: ტყიბულის მაღაროების სამმართველოს 934 მუშის მოწოდების შესახებ დადებული აქვს ხელშეკრულებები აღნიშნულ რაიონების კოლმეურნეობებთან. დღემდე მოსულია მხოლოდ 221 კაცი. მათ შორის კოლმეურნეობებიდან არის მხოლოდ 14 კაცი. ეს ფაქტი აშკარავებს კოლმეურნეობების და პარტორგანიზაციების უყურადღებობას წარმოების საკითხებისადმი.

საჭიროა, მიღებული იქნეს გადამჭრელი ზომები, რომ რაიკოლმეურნეობებმა შეასრულონ მუშა-ხელის მოწოდების შესახებ წარმოებებთან დადებული ხელშეკრულებანი.

პირველ ოქტომბრიდან მაღაროების მუშებს უნდა მომატებოდათ ხელფასი თანახმად საქ. კ. პ. (ბ) ცეკას და საქ. სახკომსაბჭოს დადგენილებისა, რატომღაც ამ დადგენილების გატარება ძლიერ გაჭიანურდა. ხელფასის მომატება გატარდება პირველი ოქტომბრის ნაცვლად პირველ ნოემ-...

... რაც სავსებით აღმოფხვრის ხელფასის გათანაბრების პრაქტიკას. შრომის დისციპლინის განმტკიცების მიზნით ის მუშა, რომელიც არ დაუშვებს გაცდენას, მიიღებს გამომუშავების გარდა კიდევ ხელფასის 10 პროც. დამატებით. გარდა ამისა ტარდება პროგრესიულ პრემიალური სისტემა.

ამგვარად ახალი სატარიფო განაკვეთით ტყიბულის მაღაროებში მუშათა ხელფასი საგრძნობლად იზრდება.

უკანასკნელ დღეებში გაიზარდა გაცდენების რიცხვი გარეთა სამუშაოებზე, რაც აიხსნება იმით, რომ მუშების საგრძნობ ნაწილს სპეცტანსაცმლები არა აქვთ მიღებული. მაღარკომებს და ადმინისტრაციას დღემდე არ უზრუნვია მუშათა დროულ მომარაგებაზე.

ადგილი აქვს იარაღების, სამუშაოების და მოწყობილობის გაუპიროვნების ფაქტებს, რაც ხელს უშლის წარმოებაში მომხდარი გარდატეხის გაღრმავებას. სამქროებმა და ბრიგადებმა დღემდე ვერ განამტკიცეს სამეურნეო ანგარიში. მუშათა ბრიგადების საგრძნობი ნაწილი ჯერ კიდევ არაა გადასული სამეურნეო ანგარიშზე.

საჭიროა, მიღებულ იქნას ენერგიული ზომები ამ დეფექტების დაუყოვნებლივ გამოსასწორებლად.

**ლ. ჯავახაძე.**

## მუშაობა შენელდა

ლითონტრესტის „ოქტომბრის რევოლუციის" სახელობის სპილენძის სატყეპი ქარხანა გასულ თვეში წარმატებით მუშაობდა. მაგრამ ოქტომბერში აღებული ტემპები ქარხანამ ნოემბერში საგრძნობლად შეანელა.

ქარხანას ნოემბრის მეორე დეკადაში სა-...



სუხიშვილის სახ. ქარხანა. დამკვრელი მუშა-ქალები ელექტრონის უთოების აწყობაზე

... წარმოო საფინანსო გეგმის მიხედვით უნდა დაემზადებია 18 ტონა სპილენძის ტკეცი—შეხვედრი გეგმით 20 ტონა, მეორე დეკადის ფაქტიური გამომუშავება უდრის თვიური საწარმოო გეგმის 25,7 პროცენტს, შეხვედრი გეგმის 23,2 პროცენტს.

მუშაობის შენელება, როგორც ქარხნის ადმინისტრაცია აცხადებს, გამოიწვია, ერთი მხრივ, სპეციალურ დაკვეთებზე მუშაობამ, რომელიც მოითხოვდა განსაკუთრებული ხარისხის პროდუქციას ეს კი თავისთავად გაცილებით უფრო მეტ დროს საჭიროებდა და მეორე მხრივ სამქროებში პროდუქციის დაგროვებამ.

ქარხანაში სამეურნეო ანგარიშს ვერ იცნობენ. ადმინისტრაციის განცხადებით „ქარხანაში ისეთი მუშაობა სწარმოებს, რომ აქ სამეურნეო ანგარიშის გატარება და ბრიგადული მუშაობა შეუძლებელია", არ მეიღება აგრეთვე სოციალისტური ფორმები როგორიცაა სოცშეჯიბრება, დამკვრელობა, საზ. ბუქსირი და სხვ. ეს ...

**ბ.**

## რატომ არ სრულდება გეგმები

... № 2 ფაბრიკას მეორე დეკადაში გეგმით უნდა დაემზადებია 345.122 მანეთის სხვადასხვა სახის პროდუქცია; ფაქტიურად ამ დეკადაში დამზადდა 342.700 მანეთის პროდუქცია, ანუ გეგმის 99,3 პროცენტი.

ფაბრიკის მუშაობას დიდათ აბრკოლებს ... მანქანების ნაკლებობა. მანქანების 80 პროცენტი დაზიანებულია, ამიტომ ადგილი აქვს ხშირ გაცდენებს.

გრძელდება აგრეთვე კვალიფიციურ მექანიკოსების, მონტიორების და ინსტრუქტორების ნაკლებობა, რაც უარყოფით გავლენას ახდენს წარმოებაზე.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ფაბრიკამ ნოემბრის მეორე დეკადის გეგმა პრო-...

... დუქციის რაოდენობითი მაჩვენებლების მიხედვით, შესრულა 75,8 პროც. მოსალოდნელი იყო გარღვევა ღირებულებით გეგმის შესრულებაშიაც, მაგრამ ეს არ მოხდა, რადგან მეორე დეკადაში ბამბეულის მაგიერ შეიკერა მეტი რაოდენობის შალის ტანსაცმელი. ხელფასის ანაზღაურების პროგრესიულ-პრემიალური სისტემა ჯერ კიდევ არაა გატარებული ფაბრიკაში.

საჭიროა, სათანადო ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ, წარმოების მექანიზაციის საქმეს; რათა ამით უზრუნველყოფილი იქნეს შემდგომი საწარმოო-საფინანსო გეგმების წარმატებით შესრულება.

**შ. ა.**

# ინგლის-საფრანგეთის ინტრიგები ახლო აღმოსავლეთში

## გამოაშკარავდა შეთანხმება საფრანგეთისა და ინგლისს შორის ხალიფატის საკითხის შესახებ

სტამბოლი, 24 ნოემბერი. ყოფილი იუსტიციის მინისტრი, თურქეთის პარლამენტის დეპუტატი მაჰმუდ ესადი გამოვიდა პრესაში მკაცრი კრიტიკით იმ პანისლამისტური კონგრესის გამო, რომლის მოწვევაც განზრახულია იერუსალიმში. ავტორი ილაშქრებს ინგლისისა და საფრანგეთის წინააღმდეგ და აბრალებს მათ ანტითურქულ ინტრიგებს. იგი აცხადებს, რომ სახალიფატო მოძრაობაში უცხოელთა ხელი ურევია.

„უცხოელებს",—სწერს ესადი,—„რომელთაც ამინებთ მაჰმადიანი ერების გამოფხიზლება, სურთ ხალიფატი გამოიყენონ, როგორც რეაქციის იარაღი, როგორც თურქეთის წინააღმდეგ მიმართული ბრძოლის დროშა. ინგლისის მონაწილეობა ამ საქმეში იმით მტკიცდება, რომ კონგრესის ინიციატორად ითვლება ინგლისის ხელქვეითი იერუსალიმის მუფტი და რომ კონგრესს მფარველობას უწევს უკანასკნელი ხალიფის სიძე—ინდოელი მახარაჯა.

საფრანგეთის მონაწილეობა იქიდანა ჩანს, რომ უკანასკნელმა ხალიფამ აბდულ მეჯიდმა თავის მუდმივ სამყოფელ ადგილად აირჩია საფრანგეთის ქალაქი ნიცა, სადაც იგი სცხოვრობს, ვინ იცის, ვის ხარჯზე. თურქეთის მტრებს საფრანგეთი თავშესაფარს აძლევს და მხარს უჭერს".

ავტორი სარწმუნოდ სთვლის შეთანხმებას საფრანგეთისა და ინგლისს შორის ხალიფატის საკითხში. ინგლისი და საფრანგეთი ბატონობენ მრავალ მილიონ მაჰმადიანზე ინდოეთში, ეგვიპტეში, მაროკოში, ალჟირსა და ტუნისში. რათა განამტკიცონ თავიანთი ბატონობა სამაჰმადიანო ქვეყნებში, ინგლისსა და საფრანგეთს სწადიათ ხალიფატის გამოყენება. მაჰმადიანთა კონგრესის ორგანიზატორები მიზნად ისახავენ—წინააღმდეგობა გაუწიონ ახალ მიმდინარეობას მაჰმადიანთა შორის მთელს მსოფლიოში და საშუალო საუკუნეებს დაუბრუნონ მაჰმადიანი ერები.

რათა განამტკიცონ თავიანთი ხელისუფლება და შეასუსტონ ნაციონალური მოძრაობა მათდამი დაქვემდებარებულ ქვეყნებში, ინგლისი და საფრანგეთი ეხლა დაბრკოლებებს უქმნიან თურქეთს. ხალიფატი სისხლიანი მახვილი იყო ხალიფების ხელში. ამჟამად ბაზარზე გასაყიდად გამოტანილ მახვილს, თუ იგი უცხოელების ხელში აღმოჩნდება, დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია მათთვის (ადს).

# ბრიუნინგი ფაშისტებს მთავრობაში იწვევს

## ჰიტლერის შესვლა მთავრობაში კონკრეტულ ამოცანას წარმოადგენს

ბერლინი, 24 ნოემბერი. მემარცხენე ბურჟუაზიულ პრესას ჰიტლერის მთავრობაში შესვლის საკითხი სრულიად რეალურ კონკრეტულ პრობლემად მიაჩნიათ. ბრიუნინგმა ფაქტების ზეგავლენით თავის დროზე ვითომ განუცხადა კიდეც ლავალს, რომ ნაციონალ - სოციალისტები მთავრობაში შევლენ არა უგვიანეს გაზაფხულისა (ადს).

## ფასების დაკლება მშრომელთა ხელფასის შემცირების ერთ-ერთი საშუალებაა

ბერლინი, 24 ნოემბერი. ვოლფის სააგენტოს გადმოცემით, ეკონომიურ საბჭოს უკანასკნელ სხდომაზე ბრიუნინგმა აღნიშნა საბჭოს მუშაობის შედეგები.

ეკონომიურ საბჭოს აზრით, მომავალი ღონისძიებანი ეკონომიური პოლიტიკის დარგში მიმართულ უნდა იქნან იქითკენ, რომ მთელი მეურნეობის წარმოების თვითღირებულება შეეფარდოს ფასების განვითარებას მსოფლიო ბაზარზე და გერმანიის კაპიტალების რესურსებს, ამასთან არიდებულ უნდა იქნას ყველაფერი, რაც კი ინფლიაციას გამოიწვევს. საბჭოს აზრით, კერძოდ, უნდა შემცირდეს საგადასახადო და სოციალური ტვირთი და ამავე დროს მოხდეს ფასების და ხელფასის შემდგომი შემცირება და კრედიტის პროცენტების დაკლება. მოხდეს აგრეთვე საბანკო სისტემის რეორგანიზაცია და საბინაო მეურნეობის იძულებითი მოწესრიგების ლიკვიდაცია (ადს).

# საბჭოთა კავშირში

— ამიერ-კავკასიაში შენდება ხორცის სამი ახალი კომბინატი.
— ურალში აიგება ვაგონების საამშენებლო კომბინატი.
— 1932 წელს მოეწყობა 1.640 სამანქანო - სატრაქტორო სადგური.
— გაზაფხულზე მოეწყობა ახალი საბჭოთა პოლიარული ექსპედიცია.

## ხორცის 3 ახალი კომბინატი ამ.-კავკასიაში

მოსკოვი, 24 ნოემბ. საკ. კ. პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის და ს. ს. რ. კ. სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც შეეხება ხორცისა და საკონსერვო მრეწველობის განვითარებას, „სოიუზმიასო" იწყებს ხორცის სამი ახალი კომბინატის აგებას ამიერ - კავკასიაში. ბაქოში აგებულ იქნება საშუალო სიმძლავრის კომბინატი 150 სული მსხვილფეხა პირუტყვის და 2.000 ცხვრის გამტარუნარიანობით ერთ ცვლაში. ამ კომბინატის ყოველდღიური პროდუქცია შეადგენს 50 ტონა ხორცს, 52 ტონა შებოლილ ხორცს, 11 ტონა ქონს და რამოდენიმე ტონა ნარჩენებიდან დამზადებულ ტექნიკურ ნაწარმს, კომბინატში იმუშავებს 1.500 მუშა. მისი აგება დაახლოებით დაჯდება 12 მილიონი მანეთი. ამასთან ერთად „სოიუზმიასო" ააგებს მცირე სიმძლავრის კომბინატებს ლენინაკანსა და ბათომში. თვითეული ამ კომბინატის გამტარუნარიანობა ერთ ცვლაში ნავარაუდევია 50 სული მსხვილფეხა პირუტყვი. 100 ცხვარი, 200 ღორი. ბათომის და ლენინაკანის ხორცის კომბინატების ყოველდღიური პროდუქცია შეადგენს 11 ტონა ხორცს, 11 ტონა ძეხვსა და შებოლილ ხორცს და 2 ტონა ქონს. თვითეულ კომბინატში იმუშავებს 800 მუშა. თითო კომბინატის აგება ჯდება 6-7 მილ. მანეთი. (ადს)

## „სოიუზმიასო" იწყებს ხორცის ახალი კომბინატების აგებას

მოსკოვი, 25 ნოემბერი. საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ს.ს.რ.კ. სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების შესასრულებლად, რომელიც შეეხება ხორცისა და საკონსერვო მრეწველობის განვითარებას, „სოიუზმიასო" იწყებს ხორცის ახალი კომბინატების აგებას გარდა ხორცის 4 დიდი კომბინატისა, რომლებიც აგებული იქნება სვერდლოვსკში, სამარაში, პოკროვსკში და ჩრდილოეთ კავკასიაში, „სოიუზმიასო"-ს განზრახული აქვს ააგოს ხორცის 15 საშუალო კომბინატი დნეპროპეტროვსკში, ზაპოროჟიეში, სტალინ-ში, ლუგანსკში, ნიჟნი-ნოვგოროდში, ივანოვო-ვოზნესენსკში, ბაქოში, სტალინგრადში, კუზბასში, ვერხნე-უდინსკში, კრასნოიარსკში, უფაში, მოგილევში, ტაშკენტში, სირდარიის რაიონში, აგრეთვე ხორცის 35 მცირე სიმძლავრის კომბინატი. ზოგიერთ კომბინატის მშენებლობა დაიწყება მიმდინარე წელსვე, დანარჩენების—1932 წლის გაზაფხულიდან (ადს).

## ვაგონების საამშენებლო კომბინატი ურალში

ნიჟნი ტაგილი, 24 ნოემბერი. საბჭოთა კავშირის ს.მ.უ. საბჭოს მანქანათმშენებლობის სამეცნიერო - ტექნიკურმა კომიტეტმა და საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა დაამტკიცა ურალის ვაგონების საამშენებლო კომბინატის გენერალური გეგმა. კომბინატი ყოველდღიურად გამოუშვებს 167 ვაგონს, ანუ მატარებლების შემადგენლობას 2 ნახ. კილომეტრის სიგრძით. თავისი სიმძლავრით კომბინატი რამდენჯერმე გადააჭარბებს საბჭოთა კავშირში მომქმედ ყველა ვაგონების საამშენებლო ქარხნებს, ერთად აღებულს. ამერიკის უდიდესი ქარხნები დიდად ჩამორჩებიან კომბინატს (ადს).

## 3040 სამანქანო-სატრაქტორო სადგური ხუთწლედის ბოლოს

მოსკოვი, 24 ნოემბერი. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშათა და მოსამსახურეთა კავშირის გაფართოებულ პლენუმზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა სატრაქტორო ცენტრის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. მარკევიჩმა. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების კოლონებს, რომლებიც წელს გავიდნენ სამუშაოდ, კოლექტიურ მინდვრებზე, ახალ წესზე უნდა მოეწყოთ და განევითარებიათ კოლმეურნეობათა წარმოება. სადგურებს გაზაფხულზე უნდა დაეთესათ 18 მილიონი ჰექტარი. ეს დავალება მათ წარმატებით შეასრულეს და დათესეს 20.240.000 ჰექტარი.

შარშან სადგურებმა შემოდგომაზე დაამუშავეს მილიონ ნახევარი ჰექტარი, წელს — 9,5 მილიონი ჰექტარი. ამრიგად, გადაჭარბებით შესრულდა პროგრამა. რომლითაც გათვალისწინებული იყო 9 მილიონი ჰექტარის დამუშავება. 15 მილიონი ჰექტარიდან სამანქანო - სატრაქტორო სადგურებმა უკვე დახნეს 13 მილიონი ჰექტარი ანუ ... სადგურების როლი მიმდინარე წლის პურის დამზადებაში მეტად დიდია (საერთო გეგმის 25 პროცენტი). მომავალ წელს სამანქანო - სატრაქტორო სადგურმა ჩვენს ქვეყანას უნდა მისცეს სასაქონლო პურის ორი მესამედი. საერთოდ სამანქანო სატრაქტორო სადგურები პურის ჩაბარების მხრით სოფლის მეურნეობის ყველა სექტორებზე წინ მიდიან. ნოემბრის შუა რიცხვში მათ შეასრულეს წლიური გეგმის 8 პროცენტი. მომავალ წელს მოეწყობა 1.640 ახალი სადგური. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების რიცხვი 1932 წლის დამლევს მიაღწევს 3.040-ს. იმ პირობებს შორის, რომლებიც უზრუნველყოფენ მის მე ბოლშევიკური გაზაფხულის კარგად მომზადებას, დიდი ადგილი უჭირავს სატრაქტორო პარკის რემონტს, ახალი კადრების სწავლებას და ძველების შენარჩუნებას. ამას მოითხოვს პარტიისა და მთავრობის მიერ ფართოდ დაწყებული ბრძოლა სოფლის მეურნეობის მაღალი კულტურისათვის. უნდა გავაძლიეროთ სამანქანო სატრაქტორო სადგურების აგრონომიული მნიშვნელობა და შევუქმნათ მათ მუშაობის შესაფერი პირობები. (ადს).

## ახალი საბჭოთა პოლიარული ექსპედიცია

ლენინგრადი, 24 ნოემბერი. საკავშირო არქტიკული ინსტიტუტი ადგენს ჩრდილოეთ პოლუსისაკენ ახალი საბჭოთა პოლიარული ექსპედიციის მოწყობის პროექტს. ექსპედიცია მოეწყობა 1932 წლის ზაფხულის დამდეგს ყინულის მჭრელ „კრასინ"-ზე. ყინულის მჭრელზე იქნება ორი ჰიდროაეროპლანი, ყინულების დასაზვერავად და მეცნიერულ-საგამომკვლევო მუშაობათათვის არქტიკაში ექსპედიციის მონაწილენი შეეცდებიან მიაღწიონ პოლუსს აეროპლანებით. ეს ექსპედიცია შეიძლება ჩატარებულ იქნას მხოლოდ იმ პირობით, თუ „კრასინი" ზამთარს გაატარებს ყინულებში. ექსპედიცია გაგრძელდება დაახლოებით 1 წელიწადს (ადს).

## საბჭოთა ალფონოსკოპი

მოსკოვი, 24 ნოემბერი. ამხ. ანდრეევმა და ლებედევმა გამოიგონეს აპარატი ალფონოსკოპი, რომელიც წარმოადგენს პორტატულ საპროექციო აპარატს, შეერთებულს რადიო-რეპროდუქტორთან. აპარატში იდება კინოპლიონკა და სხვადასხვა სტატიური გამოსახულება (ფოტოგრაფიები, ნახატები, გეგმები, სქემები და სხვ.).

ლექციის ან მოხსენების დროს სატრანსლიაციო კვანძის უბრალო სიგნალით აპარატის პლიონკა ავტომატიურად გადაბრუნდება და უჩვენებს საილუსტრაციო ლექციებს და კადრებს. კინოპლიონკა კადრებით უნდა გაიგზავნოს ყველა სასოფლო განყოფილებებში, სადაც მცირე ფასის გადახდით შეუძლია ალფონოსკოპს მფლობელს იქირაოს იგი. აპარატის მუშაობის დემონსტრაციამ ცხადჰყო მისი მაღალი ღირსება (ადს).

## ნამჯვი და ნახერხი — ქვანახშირის ნაცვლად

მოსკოვი, 24 ნოემბერი. იმ მიზნით, რომ შესრულებულ იქნას პარტიის და მთავრობის დავალება მეოთხე კვარტალში ათობის 10 პროცენტის ეკონომიის შესახებ, მოსკოვ-კურსკის რკინის გზის მესამე რაიონის სამკუთხედებმა დაავალა ყველა დეპოებისა და სამოქალაქო ნაგებობების უფროსებს—ქვა-ნახშირის ნაწილი შესცვალონ ნამჯვით და ნახერხით.

სამკუთხედი წინადადებას იძლევა, ორთქლმავლებსა და სტაციონარულ დადგმულობებზე გამოყენებულ იქნას 230 ტონა ნამჯვი და 270 ტონა ნახერხი.

ჩვეულებრივ ქვა-ნახშირთან შერეული ნამჯვის მოხმარება ორთქლმავლებზე უნდა აღწევდეს 20-33 პროცენტს, ხოლო სტაციონარულ დადგმულობებზე—33-50 პროცენტს. ნახერხის მოხმარება ქვა-ნახშირთან ერთად ორთქლმავლებზე უნდა აღწევდეს 25 პროცენტს, ხოლო სტაციონარულ დადგმულობებზე 25-დან 100 პროცენტამდე.

ამ სახის სათბობის გამოყენებას უკვე თვეზე მეტია შეუდგენ მესამე რაიონის ყველა დეპოები (ადს).

## 1930 წ. საგადასახადო რეფორმამ ძირითადად გაამართლა თავისი არსებობა

მოსკოვი, 24 ნოემბერი. შრომისა და თავდაცვის საბჭომ აღნიშნა, რომ 1930 წლის საგადასახადო რეფორმამ ძირითადად გაამართლა თავისი არსებობა; მან თვალსაჩინოდ გაამარტივა სახალხო მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის დაბეგვრის საქმე. იმისთვის, რომ აღმოიფხვრას არსებული დეფექტები და საგადასახადო სისტემა მაქსიმალურად შეუფარდდეს სამეურნეო ანგარიშის თანამიმდევრობით განხორციელებას სამეურნეო ორგანოებში, შრომისა და თავდაცვის საბჭომ საჭიროდ სცნო შემდეგ ღონისძიებათა გატარება: პირველი, გაერთიანებებისათვის დააწესეს გადასახადის განაკვეთი ცალკე საქონლის ან საქონელთა ჯგუფის ბრუნვაზე; მეორე, მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს მიეცეთ უფლება სათანადო უწყებებთან შეთანხმებით მოახდინონ ტრესტებისა და ავტონომიური ქარხნების დაბეგვრის დეცენტრალიზაცია; მესამე, საქონლის ბრუნვაზე გადასახადის განაკვეთები დაწესებულ იქნას საქონლის სადაცეო ფასების დაწესებასთან ერთდროულად, წელიწადში ერთხელ (ადს).

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილების საფუძველზე

## ბოლშევიკური ტემპებით გავშალოთ საკურორტო მშენებლობა

„დაევალოს ა.-კ. სამხარეო კომიტეტს და საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტს დაამუშაონ კონკრეტული გეგმა საკურორტო საქმის ყოველნაირად განვითარებისათვის და ამ მხრით ამიერ-კავკასიაში არსებულ მდიდარ შესაძლებლობათა გამოყენებისათვის“ (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებიდან)

### საკურორტო მშენებლობა—ბოლშევიკური ტემპებით

ამიერ-კავკასიას და კერძოდ საქართველოს, როგორც ეს გარკვევით არის აღნიშნული საქ. კ. პ. (ბ) ცეკას 31 ოქტომბრის დადგენილებაში, ...

### საკურორტო მშენებლობის გეგმა უნდა გაფართოვდეს

ამ ორი თვის წინათ საქ. სოც. დაზღვევის მთ. კომიტეტმა ამიერ-კავკასიის ორგანოებში დასამტკიცებლად წარადგინა საკურორტო მშენებლობის ...

... ლი სახლის აგება 250 საწოლით. ამ სახლის ასაგები სამუშაოების წინასწარი სამზადისი უკვე დაწყებულია.

ქობულეთში — მომავალ წელს დაწყებული იქნება ერთი ახალი დასასვენებელი სახლის აგება, იმ ვარაუდით, რომ სახლში დაიდგას 250 საწოლი და შემდეგში შესაძლებელი იქნეს სახლის კიდევ გაფართოება. იქ ...

... წარმოო რაიონების ახლობლათ მდებარეობენ და გაფართოებულ იქნეს დასასვენებელი სახლების ქსელი.

კერძოთ თბილისის მახლობლად ახალი დასასვენებელი სახლების აგება შესაძლებელია — წყნეთში, კიკეთში, მცხეთაში, ტყიბულის მახლობლად — ნაქერალაზე და ხარისთვალაზე და სხვ.

### მე-4 კვარტალის გეგმის შესრულება საფრთხეშია

საქართველო წარმოადგენს მეტად მოხერხებულ საკურორტო რაიონს. ჩვენში მინერალური წყლებისა და კლიმატიური სადგურების რაოდენობა 400-მდე აღწევს.

ჩვენ გვაქვს სამი სახის კურორტები: საკავშირო მნიშვნელობის (წყალტუბო, ბორჯომი, აბასთუმანი, შაშოვი, სოხუმი, გაგრა, ქობულეთი) ფედერატიულ და რესპუბლიკანური მნიშვნელობის (ახტალა, ბახმარო, მანგლისი, ციხისძირი, მწვანე კონცხი, ფსირცხა—ახალი ათონი) და დანარჩენი ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტები: (ზინობიანის ბალნეოლოგიური სადგური, სურამი ქვიშხეთი, საირმე, ზეკარი, უწერა, ნაბეღლავი, ლებარდე, ანაკლია, რიცა, მახინჯაური და სხვა).

არსებულ კურორტებიდან, იმათი კეთილმოწყობა, რომელთაც საკავშირო და ფედერატიულ - რესპუბლი- ...

... თა გამაგრდის მდინარე აბასთუმანკას ნაპირები. მეოთხე კვარტალის ოთი ფვე თითქმის გავიდა, მაგრამ დღემდე ეს სამუშაო არ დაწყებულა. მეოთხე კვარტალის გეგმისადმი აშკარა გულგრილობას იჩენს—კურორტების მთავარი სამმართველო, რის გამოც ამ გეგმის შესრულება საფრთხეშია.

სათანადო მუშაობა არაა გაშლილი სხვა კურორტზეც, კერძოდ ბორჯომში.

აქ ორი სანატორიუმია 130 საწოლიანი. ამას გარდა საქ. სოც. დაზღვევის სამმართველოს აქვს ერთი 80 საწოლიანი სანატორიუმი, წითელ ჯვარს ერთი სანატორიუმი 301 საწოლიანი, პანსიონატი 40 საწოლიანი. ამიერ-კავკ. სოცდაზღვევის კომიტეტს აქვს 2 დასასვენებელი სახლი. სანატორიუმების და დასასვენებელ სახლების სათანადო ქსელი არსებობს ახლა წაღვერში, ლიბანში, ...

### საჭიროა მეტი მოქნილი და კონკრეტული ხელმძღვანელობა

საწარმოო გეგმამ დაწესებულებათა დირექტივების თანახმად, კურორტთა მთავარ სამმართველოს თავისი ...

... ლო კარტოფილს იგი სანატორიუმს აწვდიდა 120 კაპ; მაშინ, როდესაც კერძო ბაზარზე ის ღირდა 60-70 კაპიკი. ბორჯომის რაიკოოპკავშირში უპასუხისმგებლობის მრავალ შემთხვევას ჰქონდა ადგილი. 8 თვის განმავლობაში ბაკურიანის სანატორიუმის აგებაზე მომუშავე მუშებისათვის ბორჯომის რაიკოოპკავშირს არ მიუწოდებია პური.

მეოთხე კვარტალში, კურორტებისათვის საჭიროა 18 ტონა ხახვი. მომარაგების კომისარიატმა და ა/კ „ზაღზოსტანკავშირმა“ კურორტთა მთავარი სამმართველოს მომარაგების სექტორი ხახვის დამზადებისათვის მიამაგრა ვანის რაიონს, მაგრამ ვანის რაიონში ხახვი არ აღმოჩნდა, ამგვარად კურორტებზე ხახვის ნაკლებობა შეიქნა.

... საქ. კურორტთა მთავარ სამმართველოს მომარაგების სექტორის მოქნილ მუშაობას. ეს სექტორი ჯერჯერობით ძველებურად მუშაობს და მის პრაქტიკაში ადგილი აქვს ბიუროკრატიზმის ელემენტებს. მოვიყვანოთ ერთი მაგალითი. კურორტებზე ზოგიერთი მშენებლობის საბოლოოდ დამთავრებისათვის საჭირო იყო სულ მასალა ბელილა. მომარაგების სექტორმა რამოდენიმე ტონა ბელილა 6 ნოემბერს გამოართვა საქ. საბინაო კავშირს, 6 ნოემბრიდან 20-მდე ეს მასალა ეწყო თბილისში, ხოლო მისი ნაკლებობის გამო ბორჯომში შეფერხებული იყო სამშენებლო სამუშაოები.

საჭიროა მომარაგების სექტორმა იმუშაოს უფრო მოქნილად.

**თანამშრომელი.**

### „რა საჭიროა გეგმა“

საქართველოს კურორტების უმრავლესობა მდიდარია ტყეებით. ამჟამად კურორტთა სამმართველოს განკარგულებაშია ტყე: ადიგენში—25.558, აბასთუმანში — 20.699, აწყურში—36.684, ახალციხეში 34.000 ახალდაბაში — 14.342, ბორჯომში —25.212, ბაკურიანში — 20.650, ბახმაროში — 5.564, წაღვერში — ...

... შეგროვილია მხოლოდ 48.000 კილოგრამი.

ამა წლის გაზაფხულზე ადიგენში გაშენდა 6 ჰექტარი ახალი ტყე, აბასთუმანში—80, აწყურში — 10, ახალდაბაში—5, ბორჯომში—20, ბაკურიანში—80, ბახმაროში—10 და წაღვერში—37 ჰექტარი (სულ 248 ჰექტარი ახალი ტყე).

ტყის გაშენების გარკვეული გეგმა როგორც ჩანს სამმართველოს შედგენილი არ ჰქონია. ამას ადასტურებს სამმართველოს სატყეო სექტო- ...

... რის გამგის მოკრძალებული განცხადება, რომ „ასეთი გეგმა არსებობს, იგი ბუხჰალტერს აქვს, მაგრამ ბუხჰალტერი შვებულებაშია წასული“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთოდ ასეთი გეგმა საკურორტო სამმართველოს სატყეო სექტორს არ მოეპოვება.

ნაკლები ყურადღება ექცევა ტყის დაცვის საქმესაც.

... ხვაზე თუ რატომ არ აქვთ გეგმა, სატყეო სექტორის გამგემ განაცხადა: **„რა საჭიროა გეგმის მაინც და მაინც ქაღალდზე დაწერა, მას როცა გვინდა მაშინ დავწერთ, ნუ თუ თავში არ გვაქვს ის, რაც უნდა გავაკეთოთ მომავალ წელს“-ო.** გეგმის ასეთ შეუფასებლობას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს. საჭიროა სატყეო სექტორის გამგის ამხანაგებმა საკურორტო სამმართველოდან გააგებინონ, თუ რა საჭიროა გეგმის შედგენა.

**ქ.**

### საგზაო მშენებლობა—მძლავრი ტემპებით

საქართველოს კურორტებზე საგზაო მშენებლობის საქმე არ არის თავის დონეზე დაყენებული. ეს მდგომარეობა ბევრად უშლის ხელს ჩვენი კურორტების შემდგომ განვითარებას. ამიტომ ჩვენს წინაშე დგას არსებული გზების კაპიტალური შეკეთების და ზოგიერთ კურორტებზე ახა- ...

... ბილო და რკ. გზის გაყვანის საკითხი და გამოირკვეს მისი საბოლოო ვარიანტი.

მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში განზრახულია კურორტების შინა გზების შეკეთება და ახლების გაყვანა. ამ მიზნით ბორჯომში ქუჩე- ... 25.000 მან. ...

... ტებში, წყალტუბოში) მიმდინარეობს მშენებლობა. შენდება ახალი სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, სახადილოები, სამრეცხაოები და სხვა. მეოთხე კვარტალში გათვალისწინებულია მთელი რიგი ობიექ- ...

... კლეს ვადაში მივაღწიოთ პარტიის დადგენილების მთლიანად განხორციელებას და გადავაქციოთ ჩვენი ქვეყანა კურორტების, სანატორიუმების და დასასვენებელი სახლების ქსელით მდიდარ ქვეყნად.



წყალტუბო. აბაზანის შენობა

### თბილისის მუშებს უნდა ჰქონდეთ მე-5 დღის დასასვენებელი სახლი

მეხუთე დღის დასასვენებელი სახლები უკვე მუშაობენ საბჭოთა კავშირის მთელ რიგ ადგილებში. საქართველოში ასეთი სახლი მოწყობილი იყო გასულ ზაფხულზე მხოლოდ ქობულეთში, ბათუმის მუშებისათვის. სოც. დაზღვევის მთ. კომიტეტმა ვერ შესძლო ასეთივე დასასვენებელი სახლი მოეწყო თბილისის მახლობლადაც. ეს მდგომარეობა აუცილებლად უნდა იქნეს გამოსწორებული მომავალი ზაფხულისათვის.

ქობულეთის მე-5 დღის დასასვენებელი სახლის მუშაობის პრაქტიკამ დიდი გამოცდილება მოგვცა. გარდა იმისა, რომ სახლს მრავლად ეტანებოდნენ მუშები, ამ სახლის მუშაობამ გამოიწვია საწარმოებში დამკვრელობის ზრდა და სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლა.

მომავალი ზაფხულისათვის თბილისის მახლობელ რომელიმე კურორტზე უსათუოდ უნდა იქნეს მოწყობილი მე-5 დღის დასასვენებელი სახლი. საუკეთესო დამკვრელ მუშებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს უნდა ექნეთ საშუალება, რომ თავიანთი დასასვენებელი მეხუთე დღე გაატარონ ამ სახლში.

საამისოდ საჭირო იქნება სახლს მიეცეს ერთი ავტობუსი.

გარდა თბილისისა, ასეთივე სახლის აგება საჭირო იქნება ანდეზიტის მუშებისათვის, ტყიბულის მახლობლად, ჭიათურის მუშებისათვის, „ტყვარჩელმშენის“ მუშებისათვის და სხვ.

**ლ.**

### სამკურნალო წყალი სენაკის რაიონში

სენაკიდან სამი ვერსის დაშორებით პატარა კლდის ძირიდან, (შავი ზღვის რკინის გზის ხაზიდან 10 საჟენის მანძილზე) გამოდის სამკურნალო მნიშვნელობის წყალი „მენჯი“. ...

... წყალი ბევრ ადგილას ამოდის და მას ისეთივე თვისებები აქვს, როგორც ბორჯომისა და კისლოვოდსკის წყლებს ...



აბასთუმანი ა.-კ. სოცდაზღვევის მთავარ სამმართველოს სანატორიუმი

### ვიზრუნოთ რაიონული სტამბების მოწყობაზე

პარტიის გადაწყვეტილება—ყველა რაიონში საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემის შესახებ. ჯერ კიდევ არ არის განხორციელებული. ამ საქმეს წინ მრავალი დაბრკოლება ეღობება, რომელთა დაძლევა აუცილებელ პირობას წარმოადგენს რაიონული პრესის ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის.

უმთავრესია სტამბის უქონლობა რაიონების უმრავლესობაში. მხოლოდ საბჭოთა ...

... პოლიგრაფიული წარმოების გაშლა-გაფართოებისათვის?

უნდა ითქვას, რომ რაიონები ამ საკითხში უმოქმედობას იჩენენ, ყოველ შემთხვევაში კმაყოფილდებიან იმით, რომ ცენტრალურ ორგანიზაციებს მიმართავენ მოთხოვნით სასტამბო იარაღ-მოწყობილობის შესახებ.

საქ. პოლიგრაფტრესტი ვერ ითვალისწინებს ქვეყნის კულტურული განვითარების ტემპებს ...

... მშენებლობას, რაიც საშუალებას მოგვცემს ახლო მომავალში გავინთავისუფლოთ თავი უცხოეთის იმპორტისაგან. ამ მანქანათ-მშენებლობის საწარმოო პროგრამის მიხედვით უნდა დამზადდეს:

| | 1932 წ. | 1933 წ. |
|---|---|---|
| ლინოტიპი | 150 | 250 |
| მსწრაფმბეჭდავი ტიგელი | 200 | 400 |
| თვითდამწყობი საბეჭდი მანქანა | 200 | 400 |
| საროტაციო ერთროლიანი | 25 | 50 |
| საროტაციო ორროლიანი | — | 50 |

როგორც ვხედავთ, პროგრამა ფრიად ფართე და მნიშვნელოვანია და მის განხორციელებას შეუძლია ბოლო მოუღოს ჩვენი პოლიგრაფმრეწველობაში არსებულ იარაღ-მანქანების ნაკლოვანებას და დააკმაყოფილოს რაიონების მოთხოვნილება სასტამბო მოწყობილობებზე.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რაიონები მექანიკურად, თავისთავად მიიღებენ სასტამბო მანქანებს. საჭიროა ქარხანას ეხლავე მიეცეს დაკვეთები რაიონებისათვის, საჭიროა ეხლავე იქნას შეტანილი ავანსები ამ მანქანების ღირებულების ანგარიშში, საჭიროა შენობების მომზადება ამ მანქანებისათვის, ერთი სიტყვით, საჭიროა მთელ რიგ სამეურნეო—ორგანიზაციულ ღონისძიებათა მიღება.

სამწუხაროდ ჯერ არა ჩანს იმის ნიშნები, რომ რაიონები თავს იწუხებდენ ამ საქმისათვის. გამონაკლისს ამ მხრივ შეადგენს ზუგდიდის რაიონი, რომელსაც უკვე დაუდვია ხელშეკრულება საკავშირო პოლიგრაფიულ გაერთიანებასთან ორი საბეჭდი მანქანის და ერთი ლინოტიპის დამზადების შესახებ.

როგორ იქცევიან დანარჩენი რაიონები, ან რას აკეთებს საქ. პოლიგრაფტრესტი, ...

... შრიფტების სტანდარტული კომპლექტი და ის დამზადებულ იქნას თანდათანობით, რისთვისაც საჭირო იქნება ლითონის (გართის) მოგროვება როგორც არსებულ სტამბებში, ისე ყველა ქარხნებში და ყველგან, სადაც ასეთი მოიპოვება.

დასასრულ, რაიონების სტამბებისათვის დიდი და თავსატეხი საკითხია კვალიფიციური მუშათა კადრის საკითხი. ამას რატომღაც არ ექცევა სათანადო ყურადღება და ეს იმ დროს, როდესაც სარედაქციო მუშაკთა მომზადებაზე უკვე დიდი ხანია ვზრუნავთ და ეს უკანასკნელი საქმე შედარებით მოგვარებულიც გვაქვს.

თბილისის სტამბები ამჟამად განიცდიან კვალიფიციურ მუშების მწვავე ნაკლებობას, რის გამოც ფერხდება არა თუ წიგნების, არამედ პერიოდულ გამოცემათა დროზე გამოშვების საქმეც. ცხადია, თბილისის სტამბები ვერც რომ მოინდომონ, ვერ შესძლებენ მუშა-ხელის გამოყოფას რაიონულ სტამბებისათვის.

მარტო პოლიგრაფიულ სკოლაზე იმედის დამყარება, რომ ის შესძლებს ახლო მომავალში საჭირო კადრების მომზადებას“. თავის მოტყულება იქნებოდა, 1924 წ. არსებობს ეს სკოლა, მაგრამ თბილისში იშვიათად შეხვდებით კვალიფიციურ მუშას — ამ სკოლიდან გამოშვებულს.

ერთად ერთი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არის—მოკლე ვადიანი კურსების მოწყობა, რომელზედაც 6—7 თვის განმავლობაში შესაძლებელი იქნება 100—120 კვალიფიციურ ასოთამწყობის და მბეჭდავის მომზადება.

დრო არ ითმენს, რაიონებში სტამბების მოწყობის საკითხს, როგორც ადგილობრივი პრესის განვითარების მთავარ პირობას, ეხლავ უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და გადაიდგას სათანადო ნაბიჯი ამ საქმის მოსაგვარებლად.

**ე. ტ.**

გაზ. „კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკორთა ბრიგადების სექტორი ხვალ, 27 ნოემბერს, ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე აწყობს

**რეიდს**

რეიდის მონაწილე მუშკორები უნდა გამოცხადდენ „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (რუსთ. პროსპ. № 16) დილის სრულ 9 ს.

„კომუნისტი“-ს დამკვრელ მუშკ. ბრიგადების სექტორი.

# სარეწაო კოოპერაცია სოციალისტური მშენებლობის სამსახურში

[illegible]

ისათვის, რომ იმ დარგების მუშები, რომლებიც დროებით განიცდიან სამუშაო მასალების ნაკლებობას გადავიყვანოთ სხვა დარგებში, განსაკუთრებით არადეფიციტურ საქონელზე მომუშავე დარგებში.

გადაუდებელ და ძირითად ამოცანად სდგას სარეწაო კოოპერაციის წინაშე თავისი სისტემის საცალო ვაჭრობის ქსელის გაშლა, განსაკუთრე-[illegible] სათვის სარეწაო კოოპერაციას ჯერ კიდევ არ გადაუდგამს ნაბიჯი. ეს ფაქტია და მისი აღიარების საფუძველზე სარეწაო კოოპერაციის მუშაკებმა უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები, რათა გაატარონ ცხოვრებაში პარტიის დირექტივები სარეწაო კოოპერაციის მუშაობის გარდაქმნის და მისი საცალო ვაჭრობის ქსელის გაშლის შესახებ.

## სამეურნეო ანგარიშის დამახინჯების იშვიათი ნიმუში

„სარეწაო კავშირი“-ს ვაჭრობის სექტორს 1931 წ. უნდა გაეხსნა 13 სავაჭ. წერტი. აქედან თბილისში უნდა გაეხსნა 4 უნივერსალ. მაღაზია. გარდა ამისა ვაჭრობის სექტორს უნდა გაეხსნა თბილისში 10 ფარდული რომელთაგან ჯერ არც ერთი არ გაუხსნიათ. თბილისში გახსნეს 5 სავაჭრო წერტი, რკინეულობის მაღაზია და საწყობი. სავაჭრო წერტი გახსნეს: ბათომში, სოხუმში, ჭიათურაში, ოზურგეთში, თელავში, ზუგდიდში და სენაკში. ქუთაისში და გორში მაღაზიები დღემდე არ არის გახსნილი.

თბილისში ყველა სავაჭრო წერტები გადასულნი არიან სამეურნეო ანგარიშზე. რაიონებში კი ეს საქმე უმწეო მდგომარეობაშია. დღემდე არავითარი ზომები არ არის მიღებული, რომ იქ სავაჭრო წერტები გადაიყვანონ სამეურნეო ანგარიშზე.

1931 წლოში გეგმით გათვალისწინებულია საქონლის ბრუნვა ამ წერტებში ავიდეს 6.252.000 მანეთამდე. სექტემბერში საქონლის ბრუნვა უნ-[illegible]

ძალიან ხშირია შემთხვევა, როცა ვაჭრობის სექტორი საქონელს ანაწილებს თვის ბოლოს ან ვადის გასვლამდე ერთი ორი დღით ადრე. ფაქტია, რომ მიღებულ საქონელს მაღაზიები ერთ-ორ დღეში ვერ გაასაღებენ, ვაჭრობის სექტორი კი ამ გარემოებას საქონლის ჩაწოლათ „მონათლავს“ ხოლმე, რის გამოც მაღაზიის გამგეს ჯამაგირიდან უკლებენ ფულს. მაგ. 29 სექტემბერს პირველ მაღაზიამ 11.782 მან. საგალანტერიო საქონელი მიიღო, რადგან ერთი დღის განმავლობაში იგი არ გასაღდა, მაღაზიის გამგეს ჯამაგირიდან დაუკლეს ფული.

ჩვენ მოვითხოვთ სამეურნეო ანგარიშის დამახინჯებლებმა გამოასწორონ თავიანთი შეცდომები. დროა მათ შეიგნონ სამეურნეო ანგარიშის მნიშვნელობა და მისი გატარების წესები.

კ—ო.

## მუშა-გამომგონებლებს სდევნიან

[illegible]

ქვილი. შეადგინეს აქტი, სადაც წისქვილის მთელი ღირსება მიჩქმალულია და უვარგისად არის იგი გამოცხადებული.

როგორც გამოირკვა ინჟ. საბანცევის ასეთი მოქმედება გამოწვეულია იმით რომ მას ქონია პირადი უკმაყოფილება ამხ. ფანჯიკიძესთან იმის გამო, რომ ინჟ. საბანცევის მიერ უვარგისად ცნობილი და დაზიანებული ოზურგეთის სახერხი ქარხანა, სტამბა, ტრესტი „შრომა“-ს სახერხი ქარხანა და სხვები ამხ. ფანჯიკიძემ გაასწორა და აამუშავა. ამიტომ ინჟინერმა საბანცევმა დაუწყო დევნა ამხ. ფანჯიკიძეს და მის გამოგონებას. წისქვილის მუშაობა დღესაც უნუგეშო მდგომარეობაშია.

საჭიროა მუშა გამომგონებლის ასეთ დევნა-შევიწროებას ბოლო მოეღოს. ინჟინერ საბანცევს და სხვებს მუშა გამომგონებელთან პირადი ანგარიშების გასწორებისა და ბრძოლისათვის სასტიკი პასუხი უნდა მოეთხოვოს.

ორი სოფლკორი

## ავიღოთ ბოლშევიკური ტემპები

ხარაგოულის რაიკოოპკავშირმა მესამე კვარტალში საპაიო თანხების დაგროვების გეგმა შეასრულა 43 პროც.

ცეკავშირის მიერ მე-4 კვარტალის საკონტროლო ციფრი მოცემულია 33.000 მან. რაოდენობით. მას კიდევ დაემატა მე-3 კვარტ. შეუსრულებელი თანხა 16.000 მან. ამრიგად 4 კვარტალში პაის დაგროვების გეგმა — 49.000 მან. შეგროვებას გულისხმობს. ოქტომბერში საპაიო თანხების მობილიზაცია არა დამაკმაყოფილებელი ტემპით მიმდინარეობდა. გეგმა შესრულდა 14 პროც., (გეგმით გათვალისწინებული იყო — 21.000 მან. შეგროვება. შეგროვდა 2.943 მან.).

ნოემბერში საპაიო თანხების მობილიზაციის საქმეში გარდატეხა ჯერ-ჯერობით არ მომხდარა. ნოემბერში საპაიო თანხა გეგმით უნდა დაგროვდეს 17.200 მანეთის რაოდენობით. პირველ დეკადაში საპაიო თანხა დაგროვილია 1.826 მან. რაც შეადგენს თვიურ გეგმის 16 პროც.

საჭიროა დაუყოვნებლივ მოვახდინოთ გარდატეხა საპაიო თანხების მობილიზაციის საქმეში.

ა—ლი.

## კულტურის პირველი სასახლე თბილისში

საბურთალოზე მომავალ წელს დაიწყება კულტურის სასახლის მშენებლობა. საქ. პროფსაბჭოს მიერ გამოცხადებულ კონკურსზე მიღებულ იქნა 17 პროექტი, მათ რიცხვში სამი შეკვეთილი პროექტი. პროექტები წარმოდგენილია მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, ხარკოვიდან, ნიჟნი-ნოვგოროდიდან, ქ. ენგელსიდან. (ყოფ. პოკროვსკის) და ტფილისიდან. პროექტები გამოფენილი იყო პროფსაბჭოს დიდ დარბაზის ფოიეში. 21 ნოემბრიდან გამოფენა დროებით დახურულია. პრემიების დანიშვნის შემდეგ რამოდენიმე დღით კიდევ გაიხსნება გამოფენა, ჟიურის წევრები პროექტებს დეტალურად იხილავენ, რის შემდეგ პროფსაბჭოს დიდ დარბაზში მოეწყობა საზოგადოებრივი განხილვა პროექტებისა დიაპოზიტივების ჩვენებით.

## ავტომობილის მარცხი საჯევახო-ჩოხატაურის გზატკეცილზე

**ჩოხატაური**, 24 ნოემბერი. შუადღის 2 საათზე, საჯევახო - ჩოხატაურის გზატკეცილზე ხევში გადაიჩეხა ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი მ. როზენბაუში. მსუბუქად დაშავდა ოთხი მგზავრი, მძიმეთ შოფერი. მანქანა დამტვრეულია. მარცხის მიზეზს არკვევენ.

კ. ბუბუტეიშვილი.

## გავაუმჯობესოთ მასწავლებელთა მატერიალური და უფლებრივი მდგომარეობა რაიონებში

დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა რაიონების მასწავლებლები არარეგულიარულად ღებულობენ ხელფასს. არის შემთხვევები, როცა რაიაღმასკომი პედაგოგების ხელფასს სხვა საჭიროებაზე ხარჯავენ.

მრავალ რაიონში მეტად ცუდად არის მოგვარებული მასწავლებელთათვის პროდუქტების მიწოდების ფეხსაცმელისა და და ტანისამოსის მიწოდების საქმე. მასწავლებლებს ჯერ კიდევ არ მიუღიათ სამრეწველო საქონელი.

არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე მასწავლებელთათვის საკვები პროდუქტების მიწოდების საქმე.

ბორჩალოში, მაგალითად, მასწავლებლებს, კარგი ხარისხის გამომცხვარი პურის რეგულიარულად მიწოდების ნაცვლად, დაურიგეს ცუდი ხარისხის თითო ტომარა ხორბალი, ხოლო სამხრეთ-ოსეთში — თორმეტ-თორმეტი კილო, აგრეთვე ცუდი ხარისხის ხორბალი, მასწავლებლებს თვითონ მოუხდათ ხორბალის დასაფქვავად წაღება. სტალინისის რაიონში მასწავლებლებს დამპალი ფქვილი მისცეს.

მეტად ცუდი პირობებია რაიონებში მასწავლებელთა ბინით დაკმაყოფილების მხრივაც. ბორჩალოს, ტიონეთის, ადიგენისა და სხვა რაიონების მასწავლებლები ცხოვრობენ გლეხებთან ერთად, ერთ ოთახში. შეშით სრულიად არ არის უზრუნველყოფილი მასწავლებლობა.

საქართველოს ზოგიერთ რაიონებში სასკოლო მშენებლობის მხრივ შედარებით უკეთესი მდგომარეობაა. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა აჭარისტანში, ოზურგეთის, ჩოხატაურის, ხევის, გორის და სხვა რაიონებში. მაგრამ სხვა რაიონებში მშენებლობა შეჩერებულია საშენებელი მასალის (შუშის, ლურსმნის, თუნუქის, ლუმელებისა და სხვ.) უქონლობის გამო. ეს აფერხებს საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლების განხორციელებას. განსაკუთრებით საგრძნობია ეს სამხრეთ - ოსეთში, სადაც სასკოლო შენობების უქონლობის გამო სკოლის გარეთ მიმდინარე წელს 5.000 ბავშვი დარჩა.

ყოველივე ეს იწვევს მასწავლებლების წასვლას რაიონებიდან. მრავალი სკოლა უმასწავლებლოდ რჩება. ასე, მაგალითად, სრულიად შეჩერდა სწავლა აჭარისტანის, აგრეთვე კასპის, წალკის, დუშეთის, თიანეთისა და სხვა რაიონების ზოგიერთ სკოლაში.

მასწავლებელთა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად ყველაზე უფრო ჩამორჩენილ და დაშორებულ რაიონებში, საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმა შეიძინა ტანისამოსის კომპლექტები და დაადგინა — იმ მასწავლებლებს, რომელთაც ორი ჯგუფი ჰყავთ, მაეცით ორმაგი ჯამაგირი.

სასკოლო მშენებლობის გასაუმჯობესებლად, საქართველოს განსახკომმა შეიძინა ლურსმანი და სხვა საშენებელი მასალა, რაც უკვე გაგზავნა ადგილობრივ. (ადს)

## უცხოელი სპეციალისტები შეეწევიან მუშაობას

24 ნოემბერს ა.-კ. მეზამბეობის კომიტეტში უცხოეთის სპეციალისტებმა გააკეთეს მოხსენება და გამოსთქვეს თავიანთი აზრი ამიერ - კავკასიაში სარწყავ და დასაშრობ სამუშაოთა განვითარების შესახებ.

24 ნოემბერს საღამოთი უცხოეთის სპეციალისტთა სამელიორაციო ჯგუფი გაემგზავრა ფოთში კოლხიდის პრობლემის შესასწავლად ადგილობრივ.

დელეგაციის ნაწილი დარჩება იქ ჰიდროელექტრომშენებლობის არსებული პროექტების შესასწავლად, შემდეგ გაემგზავრება მდინარე ხრამზე, ტერტერზე და სხვ. (ადს)

## დამამზადებელთა არაჯანსაღი კონკურენცია

**ბათომი**, 23 ნოემბერი. აჭარისტანის რაიონში შემჩნეულია სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამამზადებელ ორგანიზაციათა არა საღი კონკურენცია. ყველაზე უფრო მწვავე ხასიათი ამ მოვლენამ მიიღო სახელმწიფო საცალო ვაჭრობის სისტემისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ურთიერთობაში. სახელმწიფო საცალო ვაჭრობის სისტემამ, რომელსაც ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის (მეცხოველეობის, ხილის და სხ.) დამზადების უფლება მიეცა და რომელმაც სპეციალურად გაგზავნა რაიონებში საქონლის ფონდები დასამზადებელი მუშაობის გასაშლელად, საგრძნობლად დიდი ტემპები განავითარა და საგრძნობლად გაუსწრო წინ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას; ამ უკანასკნელს კი ჯერ არ მოუგვარებია თავისი მუშაობა და იგი კერ იჩენს საკმაო ოპერატიულობას და მოქნილობას, რაც განსაკუთრებით საჭიროა მისი მუშაობის წარმატებისათვის.

სახელმწიფო საცალო ვაჭრობის სისტემის წარმატებამ აიძულა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია მიემართა შესაფერი ორგანიზაციებისათვის თხოვნით — აუკრძალონ სახ. საცალო ვაჭრობის სისტემას იმ საქონლის დამზადება, რომელსაც ამზადებს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია. კერძოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ მიაღწია იმას, რომ სახელმწიფო საცალო ვაჭრობას აუკრძალეს მანდარინის დამზადება.

ამას შედეგად მოჰყვა ის, რომ ამჟამად სახელმწიფო საცალო ვაჭრობის მაღაზიებში არ არის მანდარინი იმ დროს, როცა კერძო ვაჭრები ჯიბეს იქელებენ ამ სწრაფად გასასაღებელი საქონლის გაყიდვით, სახელმწიფო საცალო ვაჭრობის სისტემამ თავის მხრით აღძრა საკითხი დამამზადებელთა შორის რაიონების ზუსტად განსაზღვრის შესახებ.

კერძო ვაჭრებმა ისარგებლეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მოუქნელობით და ფართოდ გააჩაღეს მუშაობა ხილისა და ზოგიერთი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის დასამზადებლად (ადს).



თბილისის დეპო.—რემონტიდან გამოსაშვებ ორთქლმავალის შემოწმება

## ხონის პედტექნიკუმის (ყოფ. საოსტატო სემინარიის) არსებობის 50 წლის თავი

6 დეკემბერს. ქ. ხონში შესდგება პედაგოგიური ტექნიკუმის (ყოფ. ქუთაისის საოსტატო სემინარიის) არსებობის 50 წლის თავის აღსანიშნავი საზეიმო სხდომა. მომწყობი კომისია ყველა პედაგოგიურ, საგანმანათლებლო დაწესებულებებს და ყოფ. სემინარიელებს, მიიღონ მონაწილეობა საზეიმო 50 წლის აღსანიშნავად მოწყობილ ზეიმში — გამოგზავნონ თავიანთი მოგონებები და სხვა.

მომწყობი კომისია.

# ოფიციალური განყოფილება

### დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და ა.-კ. სფსრ. სახალხო კომისართა საბჭოსი

**სამხედრო უწყების სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში არ იმყოფებიან**

თანახმად ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წლის 17 აგვისტოს დადგენილებისა, სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილი სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც არ იმყოფებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში“ (ს.ს.რ.კ. კანონთა კრებული, 1931 წ., № 53, გვ. 342), ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას ცნობად საქართველოს ს.ს.რ. მთავრობის მიერ შემდეგი დადგენილების გამოცემა: „ზომები ს. ს. რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა საბჭოს იმ დადგენილების განსახორციელებლად, რომელიც მიღებულ იქნა 1931 წლის 17 აგვისტოს „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილი სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც არ იმყოფებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში“.

2. წინადადება მიეცეს აზერბეიჯანის ს.ს. რესპუბლიკის და სომხეთის ს.ს. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს:

ა) დაავალონ ადგილობრივ საბჭოებს—3 თვის ვადაში გაატარონ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის კუთვნილ სახლებიდან ყველა იმ პირთა გამოსახლება, რომლებიც ამ დროს არ იქნებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში, იმ წესით და იმ საფუძველზე, რომლებიც ნაჩვენებია ს.ს.რ. კავშირის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1931 წ. 17 აგვისტოს დადგენილებაში „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოების კუთვნილ სახლებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც არ იმყოფებიან მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში“ (ს.ს.რ.კ. კან. კრ., 1931 წ. № 53, გვ. 342),

ბ) ერთი დეკადის ვადაში შეუფარდონ თავიანთი კანონმდებლობა ს.ს.რ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მოხსენებულ 1931 წ. 17 აგვისტოს დადგენილებას და ამ დადგენილებას.

3. გაუქმდეს:

ა) ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 9 ნოემბრის დადგენილება „საყაზარმო სადგომებიდან იმ პირთა გამოსახლების შესახებ, რომლებიც არ მსახურობენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის რიგებში ან სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულებებში“ (ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. კან. კრ., 1925 წ. № 11, მუხ. 51);

ბ) ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. 17 დეკემბრის დადგენილება: „იმ საცხოვრებელ ბინებიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ, რომლებიც მიმაგრებულია სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებზე“ (ამიერ-კავკასიის ს.ფ.ს.რ. კან. კრ., 1928 წ. № 22, მუხ. 255),

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ა ანანიანი.**

ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **გ. მუსაბეკოვი.**

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. სულთანოვი.**

1931 წ. 12 ნოემბერი.
ქ. თბილისი.

### დადგენილება

საქ. შრომის სახ. კომისარიატისა
1931 წ. ნოემბრის 20

**სხვა სამუშაოზე გადაყვანილ მასწავლებელთა პედაგოგიურ სამუშაოზე დაბრუნების შესახებ.**

საქ. სსრ და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში გაშლილ სასკოლო ქსელის პედაგოგიურ კადრებით გაძლიერების მიზნით საქართველოს ს.ს.რ. სახკომ. საბ. 1931 წ ნოემბრის 4-ს დადგენილების თანახმად—საქართველოს შრ. სახ. კომისარიატი ადგენს:

1. შეწყვეტილ იქნეს შემდეგში მასწავლებელთა სხვა სამუშაოებზე გადაყვანა.

2. ის მასწავლებლები, რომელნიც ა. წ. ივნისის 1-ის შემდეგ იქნენ გადაყვანილი სხვა სამუშაოზე უნდა დაბრუნებულ იქნენ თავიანთ პედაგოგიურ სამუშაოზე.

3. წინადადება ეძლევა საწარმოო-დაწესებულებების ხელმძღვანელებს 24 საათის განმავლობაში, დღიდან ამ დადგენილების გამოქვეყნებისა, განთავისუფლონ მეორე მუხლში აღნიშნული პირები მათი სამსახურის მახლობელ განათლების ორგანოებში მივლინებით.

4. შრომის კომისარიატის რწმუნებულებს და შრომის ინსპექტორებს ევალებათ თვალყურის დევნება ამ დადგენილების შესრულებაზე.

საქ. შრ. სახ. კომისარი **ოდილავაძე.**
მ. ძ. მომ. სექტ. გამგის მოადგილე **დევიძე.**

# პარტიული და საბჭოთა კალენდარი

ს. ორჯონიკიძის სახელობის რაიკომის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება წინადადება იძლევა მორიგ მეცადინეობაზე 26 ნოემბერს ყველა პარტსკოლებში და პარტქსელის წრეებში დამუშავებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება, მიღებული ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციების მოხსენებების გამო. შემდეგ მეცადინეობაზე დამუშავებულ იქნას საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტის ოქტომბრის პლენუმის შედეგები. პროპაგანდისტები, სექტორების ხელმძღვანელები და პარტსწავლების ორგანიზატორები უნდა გამოცხადდნენ მასალების მისაღებად.

**1931 წლის 27 ნოემბერს, დღის 2 საათზე** თბილისის კომიტეტის კულტურისა და პროპაგანდის განყოფილებაში შესდგება თათბირი პარტიული განათლების მდგომარეობის შემოწმების შედეგების შესახებ რკინის გზის ტრანსპორტზე, საჭიროა შემდეგ ორგანიზაციათა პარტკომების, პარტკოლექტივების და უჯრედების მდივანთა და კულტპროპაგანყოფილებების გამგეთა გამოცხადება დაუგვიანებლად: პარემონტო ქარხანა, დეპო, თბილისის სადგური, ნავთლუღის სადგური, პარტსკოლების და ამ ორგანიზაციათა წრეების ხელმძღვანელები და ლენინის და „26“ კომუნარის რაიკომთა კულტპროპაგანყოფილებების გამგენი; თბილისის კომიტეტის ბრიგადირები: ჟუჟუნკოვი, კაპიტანი, ჯვარიძე, გ. რუხაძე, ქუმიაშვილი, ნუცუბიძე (რკ. გზების სამმართველო).


სახ. ოპერა

| 26 ნოემბ. 4 აბ. 4 წ. ნ. ნ. ხერედას მონაწ. | 27 ნოემბ. 12 აბ. 4 წ. | 28 ნოემბ. 10 აბ. 4 წ. ნ. ნ. ხერედას მონაწ. |
| --- | --- | --- |
| რიგოლეტო | თამარ ცბიერი | ევგენი ონეგინი |

მზადდება „ვილჰელმ ტელი“ კ. მარჯანიშვილის დადგმით. წარმ. იწყება საღ. სრულ 8 ს. 3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა არ შეიძლება. მე-4 მორიგი შესატანის მიღება ყოველ დღე დღის 11-დან 2 ს. და საღ. 6-დან 8-მდე გამოცხადებულ წარმოდგენების აბონემენტებზე. აბონენტები, რომელნიც შესატანს არ გადაიხდიან მათი წარმოდგენის დღის 2 საათამდე. წარმოდგენაზე არ იქნებიან დაშვებულნი და მათი ადგილები გაიყიდება ჩვეულებ წესით. ნ. 3189

რუსთ. თეატრი

| 26 ნოემბ. 2 აბ. 3 წ. | 27 ნოემბ. 10 აბ. 3 წ. | 28 ნოემბ. 3 აბ. 3 წ. |
| --- | --- | --- |
| რღვევა | განგაში | განგაში |

დასაწყისი საღ. 8 ს. ყველა წარმოდგენებზე ნაწილი ბილეთებისა დატოვებულია ერთეულად გასაყიდათ. ვისაც მე-3 შემოსატანი არ ექნება გადახდილი (აბონემენტის) წარმოდგენაზე არ დაიშვება. ბილეთები და აბონ. იყიდება თეატრის სალაროში დღ. 11 ს.—2 ს. ბ საღ. 6—9 ს-დე. ნ. 3190

სახ. დრამა

| 26 ნოემბ. 9 აბ. 2 წარ. | 28 ნოემბ. 10 აბ. 2 წ. | 29 ნოემბ. 8 აბ. 2 წარ. |
| --- | --- | --- |
| შრომის აკოსტა | შრომის აკოსტა | [illegible] |

ვისაც მესამე გადასახადი არ აქვს შემოტანილი წარმოდგენაზე არ დაუშვებენ. ნ. 3178

სახ. ცირკი დასაწყ. 8-15 წ.

დღეს 2 წარმოდგენა

დღისით დასაწყისი დღის 2 საათზე. საღამ. 8 ს. 15 წუთზე.
ბილეთები იყიდება. ნ. 3191

სახელმწიფო ბანკის ა.-კ. სამხარეო კანტორა

29 ნოემბერს სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორის შენობაში დღის, 2 საათზე დანიშნულია

= საჯარო ვაჭრობა =

სახელმწიფო ბანკის მიერ გაცემულ ვადაგასულ სესხების დასაფარავად გაიყიდება შემდეგი ორგანიზაციების საქონელი: საკავშირო ელექტრო გაერთიანების —მავთულები, ზონარები, ელექტრო ნათურები და სხვა ელექტრო-მოწყობილობა; „ზაკუტილ“ ი [illegible] ჯაგრისა და მავთულის ნაყარი და სხ; „ვზრივსელპრომ“-ის—ბრეზენტის სპეცტანსაცმელი, ფეხსაცმელები და სხ; აბრეშუმის ხაქსოვი ფაბრიკის —სხვადასხვა აბრეშუმის ქსოვილები.

ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სახელმწიფო სავაჭრო, კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

ცნობების მიღება ვაჭრობის შესახებ შეიძლება სახელმწიფო ბანკის ა.-კ. კანტორის ოპერატიულ განყოფილებაში

სავაჭრო კომისია. ნ 3 [illegible]

ხუთშაბათს, 26 ნოემბერს, 6 ს. აღმშენებელთა მუშათა კლუბში (კახეთ. მოედ.) შესდგება 26 კომუნართა რაიონის მ. გ. და წითელ არმიელთა დეპუტატების 1 ლი მოწვევის საბჭოს მე-2-რე პლენუმი

დღის წესრიგი:
1. რაი. საბჭოების სტრუქტურა და სექციების ორგანიზაცია.
2. კალიაევის აღმართის გაფართოვ. შესახ.

რაი-საბჭოს პრეზიდიუმი. 9416

ა-წ. 27 ნოემბერს. საღამოს 6 საათზე, ამხ. სტალინის სახელობის სარაიონო კლუბის დარბაზში (პლეხანოვის გამზირი № 123) შესდგება ამხ. სტალინის სახელობის მეორე სარაიონო საბჭოს მეორე პლენუმი

დღის წესრიგი:
1) რაი-საბჭოს სექციების ორგანიზაცია.
2) მიმდინარე საკითხები.
რაისაბჭოს დეპუტატთა დასწრ. სავალდებულოა
9428 რაისაბჭოს პრეზიდიუმი

26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგება ა-კ. სატყეო ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგების და ტექნიკ. პერსონალის საერთო კრება
დასწრება სავალდებულოა.
9429 ა-კ. სატყეო ინსტ. ადგილკომი

26/XI საღამოს 6 საათზე. შესდგება ა/კ. სატყეო ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგების და ტექნიკური პერსონალის საერთო კრება
დასწრება სავალდებულოა.
9429 ა/კ. სატყეო ინსტიტუტის ადგილკომი.

ა/წ. ნოემბრის 29 საღ. 7 ს.
საქართვ. მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1).
პროფ. ი. ლ. ჯანდიერი გააკეთებს
მოხსენებას
(საქ. მიწსახკომის ყოფ. ზოოტექნიკური სადგურის მიერ შესრულებულ მუშაობათა შესახებ)
შემდეგ თემებზე:
1. რძის დაკონსერვება საკვებ თვისებების შენარჩუნებით და მისი გავლენა ორგანიზმის განვითარებაზე
2. ცხვრის დუმის ბიოლოგიური მნიშვნელობა და მეტიზაცია
3. საკითხი სოფლის მეურნეობაში ცხოველთა სელექციის შესახებ, ცხოველთა პროდუქტიულობის ზრდისა და საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში ჯოგების ორგანიზაციის მიზნ.
მოწვეულია ტფილისის ყველა პარტიული, პროფესიონალური და საქართველოს და ა/კ. რესპუბლიკების სას. სამ. ორგანიზაც. და თბ. გაზეთის წარმომადგენლები.
სოფ. მეურნ. სპეციალ.—ბიურო და საქ. მიწსახკომ. საცდელ საგამოკვ.—სექტორი.
2—1 9422

სახელმწ. კინოები

ხმოვანი კინო ოქტომბერი (უ.აპოლო) სეან. 12,2,4,6-30,8-30,10-30. — მე-2 კვირაა გრძელდება ახალი ცხოვრებისაკენ ბილეთების წინასწარი გაყიდვა დღის 11—4½ ს.-მდე

საღამოს კინო სპარტაკი სეან. დას. 6, 7-30, 9. 10-30 — მხატვრული ფილმი ანუშ თ. თუმანიანის პოემის მიხედვით. რეჟისორი ივ. პერესტიანი. ოპერატორი კიუნი.

დღის კინო სპარტაკი სეან. დას. 12. 1-30, 3 ს.

რ. ლიუქსემბურ. სახ. (ყოფ. მინიონი) სიან. დას. 6-30 8 9-30. 11. — ახალი ამერიკული კომედია ხრიზანტემა დ. ხილის და ჯონ ბანკროფტის მონაწ.

კინო დამკვრელი (ყოფ. პალასი) სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30. — კონრად ვეიდტ ახალ სურათში განა შეიძლება დავხუჭოთ

კინო დარბაზი სეან. დას. 6, 7-30, 9, 10-30. — ახალი მხატვრული სურათი ძმა ბიჭი

სახელმწ. დრამა კოტე მარჯანიშვილის ხელმძღვან.
განცხადება
1-ლ დეკემბრიდან თეატრთან არსდება სტუდია-სახელოსნო
თეატრისათვის ახალი კადრების მოსამზადებლად (2 წლიანი).
განცხად. მიიღება 25 ნოემბრამდე თეატ. ადმინისტ. ვლ. ამაშუკელთან. გამოცდები დანიშნ. 1 დეკემბ. დაწვრ. ცნობები — თეატ. კანტორაში.
სტუდია-სახელოსნოს დირექტ. უშანგი ჩხეიძე. ნ. 3178 6—2

კბილის ექიმი
დ. ს. რიჟინაშვილი
კბილების და პირის სნეულებათა მკურნალ. პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნ. კბილების ჩასმა ავადმყოფ. მიღება: 10—3 ს. და 5 7 ს. ძისამარ.: გრიბოედოვის ქ. № 34 რუსთაველ. გამზ. კუთხე
25—5 8012

ექიმი
ბ. ნ. ონანოვი
სიფილ., ვენერიული და კანის სნეულებანი სქესობრ. სისუსტ. მკურნალობა ავადმყოფთა მიღ. დილით 9—11 ს. საღ. 5—8 ს. ნინოშვილის ქ. (ყ. ალექსანდროვის) № 5.
25—8 8198

ს. ა. დიშელი
დაამთავრა პარიზის და ბერლინის ინსტიტუტები სახის სილამაზის მოვლა
რადიკალურად სპობს სახის ყოველგვ. დეფექტებს: ნაოჭებს, ლაქებს, მუწუკებს, სიწითლეს, პორების გაფართოებას, ეგზემას, აკნეს, თმის გაცვენას, ქერტლს და სხვ. ძნელაძის ქ. № 22.
13—5 5464

ექიმი
ქ. თ. ტყემელაშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფ. მიღება (სიფ. ვენერიულ კანის და შარდის სასქესო ორგ. სნეულებანი) ბელგიის ქ. № 1 დილ. 8½—9 საღ. 7—8
825 77886

ექიმი
ტერ-ოვაკიმოვი
სპეციალურად სიფილ. და სქესობრივი ფუნქციონალური მოშლილობ., სქესობრივი ნევრასტენიას, პსიქოტერაპ. მიღ. დილ. 10½—12 ს., საღ. 6—8 ს. საათამდე ა/კ. ფედერაციის ქ. (ყ. ველიამინოვის) № 22.
25—6 2950

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების, სიფილ. და კანის ავადმყოფ დილ. 9—1 ს. საღ. 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სახტუმრო „ევროპას“ (ყ. „ნოეს“-ს) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვ. № 8
25—15

ექიმი
მ. ო. ზანდუკელი
შინაგან და ნერვიული სნეულებანი ელექტრო-სინათლის სამკ. კაბინეთი პეტრიაშვილის ქუჩა (ყ. უდელ.) 79 № 11. იღებს საღამოს 7—8.
ტელ. № 21—45.
25—8

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები ჩაითვალოს გაუქმებულად
კავშირის წიგნაკები: მალვა გავაშელის, ნიკანდრე ლაბარტყავასი, ქრისტინე ვეფხვაძის № 39400, კონსტანტინე ჯავახიძის № 00153665, საანგარიშო წიგნაკი ნოე ასათიანის, მუშკოოპის წიგნაკები: მალაქია რაზმაძის № 8559, ანდრო დოლიძის № 149295, მარო ფირცხალაურის № 120659, პირადობის მოწმობა ვალოდია დონდუაშვილის № 30; სამხედრო წიგნაკები: სანდრო ოსილაშვილის, ანდრო დოლიძის, მეტრიკული ამონაწერი სანდრო ოსილაშვილის; სხვა და სხვა: საბინაო დავთარი სახლის ძდებარე გეგმის, [illegible] ქავთარაშვილის, წლიური რკ.გზის ბილეთი № 6/172 ისაკი ხორბალაძის, ლომბარდის ქვითარი № 66363, რკინის გზის წლიური ბილეთი № 093355 ვლადიმერ ამბროლაშვილის.
№ 33

კინო დარბაზი
ხვალ 27 ნოემბრიდან.
უცხოეთის ახალი ფილმში
ნამდვილი ბატონები
რეჟ. ჟაკ ფეიდერი.
1 სეანსის დასაწყისი საღ 6 საათზე. ნ. 3192

დამწუხრებულნი: მამიდა მელანო, ქმარი ბართლომე, შვილები: ნუშო და ნელი კორძაიები იუწყებიან მათთვის ძვირფასი
თინა აკაკის ასულ ჯიბლაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 9418

დამწუხრებული მამიდა ნუცა მეუღლე კონდრატე გვახარიათი, შვილებით იუწყებიან უსაყვარლესი
თინა აკაკის ასულ ჯიბლაძის
უდროოდ გარდაცვალებას. 9419

ლადო ჩიკაშუა, საშა ხეჩიძე გრიშა წულაძე, ტიტო ხომერიკი. მიტო გორდელაძე, ენოქი გუჯაბიძე, სოსო ზვიადაძე და კლიმენტი [illegible] მწუხარებით იუწყებიან, რომ ამხანაგმა აკაკი ჯიბლაძემ უდროოდ დაკარგა ძვირფასი შვილი
თინიკო 9408

თავზარდაცემულნი: დედა ციცი. მამა ხალი, და თინიკო, ბებია კატო, მამიდა თამარი აბაშიძეები, ბიძია ძუკუ კვარაცხელია იუწყებიან ძვირფასი და დაუვიწყარი
პაშია გოგლიკოს
უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა დღეს, 26 ნოემბერს, ქ. ოჩემჩირეში. 9417

სტალინისის რკინის გზის მეორე საქ.-საფ. შვიდწლედის მოწაფეობა მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის
ნატალია ჯორჯიაშვილი-ვიაზოვსკაიას
ტრაგიკულად დაღუპვის გამო. დაკრძალვა მოხდა სტალინისში 25 ნოემბერს 3 ს. ნ 3185

სტალინისის რკინის გზის მეორე საქართ. საფ. შვიდწლედის პედაგოგიური საბჭო მწუხარებას გამოსთქვამს ამავე სკოლის მასწავლებლის
ნატალია ჯორჯიაშვილი-ვიაზოვსკაიას
ტრაგიკულად დაღუპვის გამო. დაკრძალვა მოხდა სტალინისში 25 ნოემბერს 3 ს. ნ. 3186

ორჯონიკიძის სახელობის რაისაბჭოს სახლთა ტრესტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ტრესტის ინსტრუქტორ თეკლე ქურთულის დის
ნატა ხარიტონის ას. ვიაზოვსკისა
ტრაგიკულად დაღუპვის გამო. დასაფლავება ხაშურში. 9434

დედა მართა, მამა ისიდორე, ძმები სანდრო, გრიშა და ვანო, რძლები პაშა და ოლია ხაინდრავები გულითად მადლობას უძღვნიან ყველას, ვინც პირადი დასწრებით ან დეპეშით თანაგრძნობა გამოუცხადა ჩვენი ძვირფასი
თათუშა ისიდორეს ას. ხაინდრავას
ტრაგიკულად დაკარგვის გამო (დეპ.)

ოზურგეთის აბრეშუმის ქარხნის საზოგადო-სამეცნიერო ცეხის მუშები ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ცეხის საუკეთესო დამკვრელ მუშის
არსენ ათანასეს-ძე კოსტავას
უდროოდ გარდაცვალების გამო (დეპ.)

დამწუხრებულნი დისწულები: ელენე გოგნიაშვილი ნაცვლიშვილისა, იასე სიკო, ილუშა, თადო გოგნიაშვილები ცოლშვილებით, სიძე ანდრო ნაცვლიშვილი შვილებით დავსტირით ბიძას
ლევან მიხეილის-ძე გომელაურს
დაკრძალვა დღეს, ვერის ახალ სასაფლაოზე. 9414

დამწუხრებულნი: ცოლი ნინო, შვილები: კოტე და მაკრო (ნათელა) გომელაურები, რძალი თამარ ღოღობერიძე, სიძე სამსონ ხოფერია ქალიშვილი მზიათი იუწყებიან
ლევან მიხეილის-ძე გომელაურის
გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 4 საათზე, გამოსვენება 4 ნახ. ს. გუნიბის ქ. № 40. დაკრძალვა ვერის ახ. სასაფლაოზე. 9432

თბილისის საბჭოს განათლების განყოფილების თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ განყოფილების ინჟინერ ამხ. ნიკოლოზ ფულუკიძის ქალის პატარა
თამრიკო ფულუკიძის
უდროოდ გარდაცვალების გამო. დაკრძალვა ქალაქ ხონში, შაბათს, 28 ნოემბერს. 9426

ცოლი ეფროსინე, შვილები: ნორა, ძაბა, ნინა, ლიდა, თამარა ქმრით ანტონ მამაგეიშვილით, გაზრდილი პელაგია იუწყებიან
ივანე მარკოზის ძე მიმინოშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდა ზუგდიდში 24 ნოემბერს. ნ. 3187

ლიმ. ქარხანა „დახმარება“ ს მუშები: სერგო ოგანეზოვი, გ. ვრანგიშვილი, თ. ძაგნიძე, მ. გაჩეჩილაძე და მესხი ვასო მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე ქარხნის მუშა ქალის
იდა კაშკაკოვას
ტრაგიკულად დაღუპვას. გამოსვენება დღეს, 4 საათზე, ქართული ქ. № 9 9421

გაუბედურებული დედა ქსენია, მამა იონა დები დოდო და ეთერი იუწყებიან, რომ დღეს, 5 საათზე დანიშნულია ვერის ახალ სასაფლაოზე სამოქალაქო პანაშვიდი საყვარელ
პატარა ლამარიკო გოგიაშვილის ას.
ხსოვნის აღსანიშნავად. 9423

რომან საგანელიძე, მეუღლე ქსენია, სიდედრი ივლიტა, სიმამრი დიმიტრი გაბუნიები იუწყებიან, რომ უდროოდ გარდაიცვალა ქალაქ სამარკანდში დაუვიწყარი მეგობარი
მიხეილ ლევანის-ძე ჩიჩუა
დაკრძალვა ქალაქ სამარკანდში დღეს. 26 ნოემბერს. 94.5

ა/კ. რკინის გზის კბილის საექიმო პოლიკლინიკის თანამშრომლები მწუხარებას გამოსთქვამენ ამავე პოლიკლინიკის ექიმის ოლღა მესხიაის უსაყვარლესი შვილის
ზურაბის
დაკარგვის გამო გამოსვენება დღეს, 4 საათზე, დიდუბის ქუჩა № 9. 9427

დამწუხრებულნი დედა ევა, დები ნინო და მანია შვილებით, სიძე ლადო კობაიძე, ძმები ვანო და იოსები ცოლშვილით იუწყებიან, რომ
მიშა მიხეილის-ძე გულბათიშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად დუშეთში 27 ნოემბერს 3 საათ. დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი. 9382

დამწუხრებულნი: ალექსანდრე და თეოფილე მეხრიკაძეები, ამბროსი და ვერა კერვალიშვილები აუწყებენ დაუვიწყარ პატარა
ზურიკო მეხრიკაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, 4 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება დიდუბის ქუჩა № 9. 9413

დამწუხრებული მშობლები: ნინა და ნიკოლოზი, დები: ელენე და მერი, ბიძა ლევანი და ციცი წულუკიძეები, ბაბუა. ბებია სალომე რებეკა, ბიძა გრიშა და თამარი ლორთქიფანიძეები დავსტირით სიცოცხლით აღსავსე პატარა
თამარი (ბუჩქა) წულუკიძის
უდროოდ გარდაცვალებას. 9425

დამწუხრებულნი იაკობ და ვანო გომელაურები ცოლშვილითურთ იუწყებიან, რომ თბილისში გარდაიცვალა მათი საყვარელი ძმა
ლევან მიხეილის-ძე გომელაური
დაკრძალვა დღეს, 4½ საათზე, ბარნოვის ქ. № 40. 9433

გულჩათხრობილნი მშობლები: ოლია და ვლადიმერ. ძმა შალვა მეხრიკაძენი ვაუწყებთ საზოგადოებას გულიდან ამოუშლელ საყვარელ პატარა
ზურიკოს
გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, ბინიდან დიდუბის ქ. № 9. 9430

გულდათუთქულნი დედა ნინა, მამა კოსტა, ბაბუა ალექსი ძმა კაროლო და მერი, ბიძები სიმონი გერასიძე, დეიდები: თეკლე, თედოსია, ირინე, პასიკო, ბიძები ბოქორიშვილები პლატონა, დავითი, დეიდები: ანია და ბ[illegible] იუწყებიან რომ 24 ნოემბერს ქ. ოჩამჩირეში გარდაიცვალა ჩვენი პატარა
ანგი ჭელიძე 9431

გულდამწვარნი შვილი ანა მორთულაძისა მეუღლით, და შვილიშვილები: ნინა, სამიკო, ირაკლი, ანანია და ვახტანგი მორთულაძეები იუწყებიან ძვირფას
მართა ანდრიას ას. მაღალაშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ავლაბრის სასაფლაოზე დღეს, 4 საათზე. 9436

დამწუხრებული ცოლი კესარია, შვილები: პეტრე, ლიდა, ალექსანდრა, პელაგია, ნინა და ტუშიკო, რძალი ნატაშა, სიძეები: სიმონ ნიკოლაძე, გ. ხახალეიშვილი, კოტია ცქიტიშვილი და გიორგი კიკნაძე აუწყებენ საზოგადოებას
დიმიტრი გიორგის-ძე ასლანაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში, საფიჩხიის სასაფლაოზე 26 ნოემბერს. 9436


გაზეთ „კომუნისტი“-ს გამომცემლობის სტამბა

მთავლიტის რწმუნებული ა 916